№ 191

შაბათი, 5 სექტემბერი, 1898 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 191

შაბათი, 5 სექტემბერი, 1898 წ.

რედაქცია ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ დერაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## კბილის ექიმი ა. ე. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2 მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—7)

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა

დილაობით:

**ა. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

**ჯ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი. და საშარდის ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

**ა. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (წ)

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ, 3 სექტემბერს, აკურთხეს მეფე ერეკლეს სახელობაზედ ახლად დაარსებული ვერის საქალაქო სკოლა. კურთხევას დაესწრნენ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ა. ივანენკო, ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა დირექტორი ხ. ნ. გროზდოვი, ქალაქის სასწავლებელთა კომისიის წევრები, საბჭოს ხმოსნები, მასწავლებელნი, მოსწავლენი და მათი მშობლები. პარაკლისის შემდეგ ა. ა. ივანენკომ მიჰმართა იქ დამსწრეთ მოკლე სიტყვით. სიტყვა წარ- [illegible] გროზდოვმა. ახალს სკოლაში მიღებულ იქმნა სულ 50 მოსწავლე. მათ შორის 36 ქართველი, 8 რუსი და 6 სომეხი. შესვლის სურვილი განაცხადა 150 კაცმა.

⁂ ტფილისის საბალოსნო სკოლის გამგის თანამდებობის შესრულება დროებით, ბ-ნ კრავჩენკოს ნაცვლად, რომელმაც ამ თანამდებობას თავი გაანება, მიენდო იმავე სკოლის მასწავლებელს ბ-ნ ჯაფარიძეს. ამასთან კავკ. საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ სთხოვა სკოლის მზრუნველს წარმოუდგინეთ საბჭოს კანდიდატები გამგის თანამდებობაზედ დასანიშნადაო.

⁂ გუშინ წინ, 3 სექტემბერს, სათავად-აზნაურო სკოლაში კენჭის ყრა მოხდა მოსწავლეთა მისაღებად. თავისუფალი ადგილი საზოგადოების ხარჯზედ სულ ხუთი იყო. ორი გორისა და ტფილისის მაზრებში, ერთი სიღნაღისა, ერთი თელავისა და ერთიც დუშეთისაში. გორისა და ტფილისის მაზრებისა ერგოთ: ფურცელაძეს გიორგის და ანანიაშვილს ეფრემს; დუშეთისა—გედევანიშვილს დიმიტრის, თელავისა—ჯანდიერს და სიღნაღისა ჯანდიერს.

⁂ მეურნეობის დეპარტამენტის განყოფილების უფროსმა თავ. ვ. ი. მასალსკიმ უკვე დაათვალიერა ამიერ-კავკასიის გამოსაცდელი მინდვრები და სანერგეები. თავადი მასალსკი დაბრუნდა ტფილისში და ამ დღეებში [illegible]

⁂ კომისია, რომელსაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის დათვალიერება ჰქონდა მინდობილი, იმ აზრს დაადგა, რომ საჭიროა მთელს გზაზედ ტელეფონი იქმნას გამართულიო.

⁂ „კავკასიაში მართლ მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ საბჭომ მიანდო ამ საზოგადოების სკოლების დროებით გამგეობა ქუთაისის გუბერნიის სკოლების ინსპექტორს ევ. მ. მამინეიშვილს. აზრადა აქვთ ეს თანამდებობა შემდეგ ჩაბარონ ბერ-მონაზონს მ. დავითს, რომელიც მომავალ გაზაფხულს დაასრულებს სწავლას ყაზანის სასულიერო აკადემიაში.

⁂ ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტის თავმჯდომარემ მიიღო სავაჭრო დეპარტამენტისაგან ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესდება ტფილისის საკომერციო სასწავლებლისა. გუშინ-წინ კრებაზედ კომიტეტმა განიხილა ეს წესდება. ჯერ არ იციან, როდის დაარსდება ეს სასწავლებელი. ამ სასწავლებლის დირექტორსა და ინსპექტორს დაჰნიშნავს სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან ფინანსთა მინისტრი კავკასიის მთავარ-მართებელთან მორიგების შემდეგ. სამზრუნველო საბჭო შესდგება ფინანსთა მინისტრის წარმომადგენლისა და ადგილობრივ ვაჭართა ხუთის წარმომადგენლისაგან.

⁂ საქმე ახალციხის მემამულის [illegible] ლი იდება, რომ თავის ძმის მოსაკლავად კაცებს აქეზებდა, ამ შემოდგომაზედ განხილული იქმნება ტფილისის ოლქის სასამართლოში.

⁂ გაზ. „კავკას“-ის სიტყვით, მთავრობამ არ შეიწყნარა ქალაქ ტფილისის თვით-მმართველობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მას გამოსცეს ხოლმე „ტფილისის ქალაქის საბჭოს ცნობები“.

⁂ Прав. Вѣст.*-ი იუწყება, რომ 28 აგვისტოს დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე პეტერბურგიდგან კავკასიაში წავიდაო.

⁂ ქუთაისი. გამოცდა მოსწავლეებისა გათავდა თითქმის ყველა სასწავლებელში. როგორც წინა წლებში ხდებოდა, წელსაც სასწავლებელში შესვლის მსურველი აუარებელი იყო, ხოლო უადგილობისა გამო მსურველთა მესამედი რიცხვიც ვერ დააკმაყოფილეს; მშობლები ძალიან დაღონდნენ, რადგან იმათი შვილები სასწავლებელში შესვლას ვერ ეღირსნენ, თუმცა შესასვლელი ეგზამენები კარგად გარდაიხადეს. ამ სამწუხარო გარემოებამ ყმაწვილების მშობლები იძულებული გახადა მიემართათ სასწავლებლების უფროსებისათვის, რათა ჩვენის, მშობლების, ხარჯით პარალელი კლასები დააარსეთო. ასეთის თხოვნით მშობლებმა მიმართეს რეალურის სასწავლებლის დირექტორს, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორსა და სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს. პირ- [illegible] ვეს ნება რთვა პარალელის კლასების დაარსებისა. მზრუნველმა შეიწყნარა ეს თხოვნა და ნება მისცა. მთხოვნელთა აუარებელი რიცხვი მოაწვა სათავად-აზნაურო სკოლასაც: ადგილი მოსწავლეთათვის მარტო პირველ განყოფილებაშია, სადაც დიდის გაჭირვება არის...

## ფელეტონი

### დესპინე და ნიკო

მოთხრობა

(შემდეგი *)

მშვენიერი ღამე იყო. კიდის-კიდემდის მოწმენდილს ცაზედ მუშტის ოდენა ღრუბელიც არსადა სჩანდა. დაუსრულებელს ზეცის სივრცეში მფლობელობა ვარსკვლავებს დარჩენოდათ და საამურად ჰკაშკაშებდნენ. მთვარე ჯერ არსად სჩანდა. წყნარი ნიავი საამურად აშრიალებდა ხის ფოთლებს, თითქოს ჩაძინებულს არემარეს ტკბილს ნანას უმღერისო და თან მოჰქონდა ათას-გვარი ყვავილების ერთად შეზავებული დამათრობელი სურნელება. რა-კი უმთვარობის გამო დედა მიწა საკმაოდ განათებული არ იყო, ტურფა ყვავილებით მოკაზმული ხეხილები და მწვანედ მობიბინე გორ-მინდვრები რაღაც შავ სურათად მოჩანდა. ირგვლივ დამყარებულს სიჩუმეს და მყუდროებას ხან-და-ხან არღვევდა იდუმალებით სავსე და სევდის მომგვრელი „რწყილის“ [1]) ხმა, ან ტურების შორეული წკავ-წკავი. ყველას, რაც ღლისით ჰმოძრაობს, კარგა ხანია ეძინა. არ ეძინა მხოლოდ ნიკოს. ის ქაიხოსროს მარანთან იჯდა, ნიგოზს ქვეშ და საშინელს მოუსვენრობაში იყო. ხან ნიდაყვებით მუხლებზედ დაეყრდნობოდა და ხელები შუბლზედ ჰქონდა მიდებული, თითქოს მწარე ფიქრებისაგან თავის გახეთქვისა ეშინიანო, ხან მხარ-თეძოზედ წამოწვებოდა, ხან ზეზედ წამოდგებოდა და თავის თავად ჩაილაპარაკებდა:

— მოდი მივიწევი იქით, იქნება შიშით ვერ ბედავს აქით მოსვლას, თვარა გარეთაა, მარა აი დასაღუპავი და ცოფის დასარჩობელი ძაღლი რომ დამიწყებს ჭანჭყალს, რა მეუხერხოვო?

ამ ტანჯვაში რომ იყო ნიკო, აღმოსავლეთმა რაღაც მოთეთრო ფერი მიიღო, ვარსკვლავებს სინათლე შემოაკლდა და პატარა ხანს შემდეგ ტურფა ღამის დარაჯმაც კრძალვით ამოჰყო თავი მთის გადაღმიდგან, თითქო ამქვენის დაგვიანებისა სცხვენიანო. გადმოხედა თუ არა დიადმა ღამის მნათობმა დედა-მიწას, მაშინვე თავისი საყვარელი ფერ-მკრთალი სხივები უხვად მოჰფინა ქაიხოსროს კარ-მიდამოს.

— ეჰ, რაც იქნება, იქნება, ჩაილაპარაკა თავისთვის დესპინემ და ფეხ-აკრეფით აჩრდილსავით ოდის უკანა პწკალზედ ჩამოვიდა.

ყმაწვილი ქალი ღამე ძალიან მშიშარა იყო, მთვარის ამოსვლამდის მარანთან მისვლა ვერ გაჰბედა, ვაი თუ ნიკო აღარ დამიხვდესო, ჰფიქრობდა. ახლა ცოტა არ იყო მთვარის სინათლემ წაათამამა, მაგრამ კიდევ „რაც იქნება, იქნება“-ს ამბობდა. ნიკო თვალ-მოუშორებლივ მისჩერებოდა ოდას და ამიტომ მალე გაარჩია მისკენ მომავალი დესპინე, სწრაფად წამოვარდა ზეზე და იმისაკენ გაექანა.

— ჩემი სიკვდილი, ვიფიქრე, ეგება არ მოსულა-მეთქი და რამდონი ხანია გარეთ ვყურყუტოფ, შიშით წამოსვლა ვერ გავბედე, მორცხვად ჩაილაპარაკა დესპინემ, ნიკოსთან რომ მივიდა.

ნიკომ პასუხის მაგივრად ხელები კისერში მოჰხვია და ყელი-ყელ გადაჭდობილნი ისე მაგრად ჩაეკონნენ ერთმანერთს ტუჩებში, თითქოს ერთ არსებად გარდაქცევას სცდილობენო.

როცა ერთმანეთის ხვევნა-კოცნით გული საკმაოდ იჯერეს, ხელი-ხელ გადადებულნი მარნისაკენ წავიდნენ და კაკლის ქვეშ დასხდნენ, რომლის ბნელმა ჩრდილმაც ისე ჩაჰყლაპა ისინი, რომ იმათი დანახვა არავის შეეძლო. ამ დროს ახლოს რომ მისულიყავით და დაკვირვებით შეგეხედნათ, შემდეგს სურათს დაინახავდით: დესპინე ფეხ-მორთხმით იჯდა ბალახზედ, მარცხენა ხელი კალთაში ჩაედო, მარჯვენაში მოკლე ჩხირი ეჭირა და თავდახრილი მიწას ჰქექავდა; იმის გვერდით იჯდა ნიკო, რომელსაც ცალი ხელი დესპინესთვის კისერში გადაედო და ცალით წვერულვაშს უგემურად ეთამაშებოდა. ორივენი ჩუმად ისხდნენ და ლაპარაკის დაწყებას ვერც ერთი ვერ ახერხებდა, თუმცა სალაპარაკო ორივეს ბევრი ჰქონდა.

ბოლოს ნიკომ თავი დესპინესკენ მიიბრუნა და ხმა-დაბლა ღიმილით ჰკითხა:

— რავა გაჩუმებული ხარ, გენაცვალე დესპინე, რეიზა არ მელაპარიკები ახალ ამბავს?

— დესპინემ თავი უფრო ძირს დაჰხარა სირცხვილით, თითქო მიხვდაო, რა ახალ ამბავსაც ჰკითხავდნენ, და მწუხარე ხმით ჩაილაპარაკა:

— რა უნდა გითხრა? ნეტე არც მე ვიცოდე!..

— მართლა გკითხავ, დესპინე, ვინცხა დღეს თქვენსას ყოფილიყო, ვინ იყო, თავი ნუ მოგიკტება? არ მოეშვა ნიკო.

— ბაბეს და ბიძიეს სიკვდილი და სიავე იყო. გულ-ჩათუთქული წარმოსთქვა დესპინემ და ისე მწარედ ამოიოხრა, რომ კინაღამ გული თან ამოაყოლა.

— შენ რომ გცხვენია, შენი რა ბრალია; შენ რომ აქანე აფერ შავში ხარ, მეც ქე ვიცი, მარა ისე მინდა მართლა გევიგო, ვინ იყო. ალერსიანად უთხრა ნიკომ და დაყვავების ნიშნად შუბლზედ აკოცა, რაკი შეატყო, რომ დესპინეს ლაპარაკის დაწყება სცხვენოდა.

— დასტურ არ ვიცი ღმერთმანი, რაცხა საშინელი გვარი აქ, უნელად [2]) დეიღუპა იგიც და მისი გვარიც. სახელი ყარსუმე ქვია და გვარად ცუდლუკაძე მგონი.

— აა, ვიცი, ვიცი, ყარსუმე ცუდლუტაძე. წამოიძახა ნიკომ და თავისდა უნებურად გაეცინა დესპინეს შეცდომაზედ—„ცუდლუტაძის“ მაგივრად, „ცუდლუკაძე“ რომ სთქვა.

— მერე ვინაა იმის შომაულათ?

— ვოი გაშავდა მისი ენა და ბაგე, ვინცხაა. ვინაა და ენა ჩასაკვებელი ბიძიე.

— ჰო, კაი ბიძიე ყოფილა და კაი კაციც გამოურჩევია, ტუჩების კვნეტით ბეჩავად ჩაილაპარაკა ნიკომ და თან დაატანა:

— მერე ქაიხოსრომ და მაკამ რა

*) იხ. „ივერია“, № 190.

[1]) რწყილი ერთ-გვარი ღამის ფრინველია.

[2]) უნელად—საშინლად.

რევბით დაეტევა ორმოცდა-ათამდის ყმაწვილი, ხოლო მთხოვნელი ამ განყოფილებისათვის 230 მეტია. მშობლებმა ხელ-წერილი შეადგინეს, რომლის ძალითაც კისრულობენ სწავლის გარდასახადის დაწესებას (აქამდის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლენი სწავლის ფასს არ იხდიდნენ). სკოლის ინსპექტორი აპირობს დააარსოს პარალელი განყოფილება მოსამზადებელის კლასის მეორე განყოფილებასთან, რადგან მთხოვნელთა უმრავლესობა ამ განყოფილებისათვის არის მომზადებული. შუამდგომლობა ამ საგნის შესახებ უკვე აღძრულია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის წინაშე, რომელიც, იმედია, ამ თხოვნას შეიწყნარებს.

*** სოფ. მოხისი. ხუთშაბათს, 3 სექტემბერს, საღამოს 4 საათზედ, მოხისსა და გომს შუა გზაზედ შაქრო გულოვს დახვდენ გზაზედ ვიღაც უცნობი ოსები და უნდოდათ გაეძარცვათ, მაგრამ გულოვმა ცხენი გააჭენა და გაექცა. ოსებმა სდიეს კარგა ხანს, მაგრამ ვერ მოეწივნენ. აქეთ ძალიან გახშირებულია ქურდობა და ავაზაკობა და აქაურნი მცხოვრებელნი დიდს შიშში იმყოფებიან.

*** ამას წინად დაბეჭდილი გვქონდა, რომ 31 აგვისტოს ვიღაც უცნობი კაცი ცხენებით მტკვარში დაიღრჩო. დამღრჩვალი ტფილისის მაზრის გლეხი ივანე მამაცაშვილი აღმოჩნდა. მამაცაშვილი 24 წლის კაცი იყო.

*** გაზ. „კავკ.“ სწერს თიონეთის მაზრიდგან, რომ ბებერ-ტაფაში სოფ. გუდარახის მცხოვრებელმა პაპა ხევსურიშვილმა ჩხუბის დროს მოჰკლა თოფით სიღნაღის მაზრის სოფ. ტიბაანის მცხოვრებელი ლა-[illegible].

*** ტფილისის გუბერნიის მცხოვრებმა ივ. ხახაშვილმა გამოუცხადა პოლიციას, რომ 2 სექტემბერს, მოედანზედ, რკინის გზის სადგურის მახლობლად, ვიღაც ორმა უცნობმა ჯიბიდგან 120 მანეთი ამოაცალაო. ერთი ამ ჯიბგირთაგანი ტფილისის მოქალაქე კარაპეტა მელიქოვი აღმოჩნდა, რომელიც პოლიციამ უკვე შეიპყრო.

## წერილი ახალ-სენაკიდგან

1 სექტემბერი

ახალ-სენაკს უვლის ფოთი-ტფილისის რკინის გზის ლიანდაგი. დაარსებულია რკინის გზის სადგური, საქონლის მისაცემ-გამოსატანი ბაქანი და ამავე სადგურის მოსამსახურეთა თავ-შესაფარიც. არა გვგონია, რომ ფოთის შტოს რკინის გზის რომელიმე სადგური იყოს ისეთი შემოსავლიანი, როგორც ახალ-სენაკის სადგურია. სამეგრელოს მცხოვრებთა უმეტესს ნაწილს და აფხაზეთიდგანაც ამ სადგურიდგან აქვთ მიმოსვლა სხვა-და-სხვა დაბა-ქალაქში. ადგილობრივ ნაწარმოებსაც ამ გზით ეზიდებიან. მაგრამ სადგური რკინის გზისა ერთობ უხერხულსა და შეუფერებელს ადგილზეა გამართული. ვიდრე სადგურამდე კაცი მივა, სამ თუ ოთხს ლიანდაგს უნდა გადავიდეს, საცა ხშირად ხვდება მზად დატვირთული ან ცალიერი გამწკრივებული ვაგონები. მეტი ღონე არა აქვს, ამ გამწკრივებულს ვაგონებს ქვეშ უნდა გაუძვრეს, ისე ვერ მიდის სადგურამდე. დღისით კიდევ ჰო, კაცი სინათლით როგორმე გაძვრება ვაგონებს ქვეშ, მაგრამ ღამით კი ღმერთმან დაგიფაროთ. ბნელაში ან თავს წაატეხთ ვაგონს და ან მუხლს დაიშავებთ, რაც ხშირი მოვლენაა აქ. ჩვენი სადგური ღვთის სამლოცველო ადგილს წააგავს, რადგანაც ორი თუ სამი მეტანია დაჩოქილი სჭირდება მიმსვლელსა. კაცებზედ უარესად დატანჯულნი არიან ქალები, რადგანაც მანდილოსანთ დიდად უჭირდებათ ამ გვარად სიარული. ვისაც თაყვანისცემა არ უნდა სადგურისა, უნდა ელოდოს, ვიდრე ლიანდაგი არ გა-ივლოს... ამას წინად ადგილობრივმა მცხოვრებლებმა რკინის გზის უფროსს სთხოვეს, რომ ამ გარემოებისათვის რაიმე ღონე ეღონა. რკინის გზის უფროსი დაჰპირდა კიდეც ან სადგური გადაეტანა მოსახერხებელ ადგილას, ან დიდი ხიდი გაეკეთებინა, რათა ყველას უშიშრად შესძლებოდა გასვლა-გამოსვლა და ამით ასცდენოდნენ ვაგონებს ქვეშ გაძვრომას. მას აქეთ აგერ წელიწადზე მეტია, მაგრამ ჯერ არაფერი არ ისმის არც ხიდის გაკეთებისა და არც სადგურის მოსახერხებელ ადგილას გადატანისა. ამიტომ დიდს სამადლო საქმეს იზამს რკინის გზის უფროსი, რომ თავისს მოწყალე თვალით გადმოხედავდეს და დაპირებულს, რაც შეიძლებოდეს, მალე აუსრულებდეს აქაურებს. იმედია, ვისგანაც ჯერ არს, ხალხის ამ ყოველდღიურს შეწუხებას ყურადღებას მიაქცევს...

ტელეფონი

## რუსეთი

—

პეტერბურგის სატეხნოლოგო ინსტიტუტში მისაღები ეგზამენები უკვე დასრულდა. თხოვნა შეიტანა 1,176 კაცმა, თავისუფალი ვაკანსია იყო 146, მიიღეს 218 კაცი.

— პეტერბურგისა და მოსკოვის სამანუფაქტურო ქარხნების პატრონთა შორის ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ქარხნებთან დაარსებულ იქმნას საკვირაო კურსები.

— პეტერბურგში დაარსდა მკურნალთა ახალი საზოგადოება. წესდების ძალით საზოგადოებას ნება აქვს დაარსოს სამკურნალოები, ლაბორატორიები, აფთიაქები და სხვა. საზოგადოებას ჯერ-ჯერობით აზრადა აქვს დაარსოს პეტერბურგში ერთი დიდი სამკურნალო და მასთან კაბინეტი სხვა-და-სხვა ნივთიერების გამოსაკვლევად. ამ საავადმყოფოში ავადმყოფების მიღება და წამლობა შეეძლებათ მხოლოდ საზოგადოების წევრებს.

— გაზ. „Сынъ От.“-ს სიტყვით, უმაღლეს და საშუალო სატეხნიკო სასწავლებლების იმ მოსწავლეთ, რომელნიც მოისურვებენ, ზაფხულობით დაეთმობათ სამუშაო სახელმწიფო ქარხნებში და ამ სამუშაოში მიეცემათ ის სასყიდელი, რა სასყიდელიც მუშებს ეძლევათ.

— შინაგან საქმეთა საეროზო ნაწილმა ამ დღეებში გლეხთა შესახების კანონდებულების მასალების კრებულთან ერთად გამოსცა კრებული იმ დადგენილებათა, რომელიც გლეხთა სამოქალაქო უფლებათ შეეხება. ამ კრებულშია მოქცეული არა მარტო კანონის მუხლები, დაფანტული სხვა-და-სხვა წიგნებში, არამედ უმართებულესის სენატის განმარტებანიც-კი. უკვე ორი სხდომა ჰქონდა გლეხთა შესახების კანონდებულების გადამსინჯველს კომისიას და ყოველს სხდომაზედ ამ საგნის მოსამზადებლად შეიმუშავა და გამოარკვია ესა თუ ის საკითხი გლეხთა ცხოვრებისა. როდესაც ყველა საკითხს, რომელთა რიცხვი 50-ია, განიხილავს კომისია, მაშინ ყველა უწყების წარმომადგენელნი იქმნებიან მოწვეულნი მათდა გადასასინჯად.

## უცხოეთი

—

**კრიტი.** დიდი ამბები მომხდარა კრიტში უკანასკნელ არეულობის დროს. გაზეთები იუწყებიან, რომ 10,000 ქრისტიანეთაგან მხოლოდ 250 კაცი გადარჩაო. გარდა ამისა მოკლულ იქმნა 60 ინგლისელი ზღვაოსანი, 200 ჯარის-კაცი და მრავალი ბაში-ბუზუკი. დაჭრილთა რიცხვი ხომ უთვალავია. კანდიის ქრისტიანეთაგან გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც გემებზედ გადასვლა მოასწრეს. რაც ტყვიამ და ხანჯალმა დაახოცა, ის [illegible] დაამთავრა: მრავალი სახლი გადაიწვა. როგორც იუწყებიან არეულობა ახალის გარდასახადის შემოღებისა და სადამოუნო მოხელეებად ოსმალების ნაცვლად ქრისტიანების დანიშვნას გამოუწვევია. ინგლისის გაზეთები ასე აღგვიწერენ ამ ამბავს: „26 აგვისტოს ხარჯის მომკრებნი ქრისტიანენი გაჰგზავნეს ქალაქში და თან ჯარის-კაცთა ერთი რაზმი გააყოლეს. ცოტა ხნის შემდეგ იმ სახლთან, სადაც ჯარის-კაცები და ხარჯის-ამკრებნი იყვნენ, მრავალი მაჰმადიანნი შეიკრიბნენ და მოითხოვეს სახლში შეგვიშვითო. როდესაც ამ თხოვნაზედ უარი შემოუთვალეს, მაჰმადიანთ ყვირილი დაიწყეს და სახლში ძალით მოინდომეს შესვლა. ჯარმა რომ ვერაფერი გააწყო და ხალხი ვერ დააწყნარა, იარაღი იხმარა და რამდენიმე მაჰმადიანი დასჭრა. ამან ისე გააბრაზა იქ დამსწრე მაჰმადიანნი, რომ ყველანი იარაღით ხელში ჯარის-კაცებს მიჰვარდნენ. შემდეგ მაჰმადიანები ქრისტიანეთა უბანს დაეცნენ. ქუჩაში მათ თოფები დაუშინეს გამვლელ-გამომვლელთ და სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. ვინც ქალაქიდგან გაქცევა ვერ მოასწრო, ის ან ტყვიის ან ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნა. ქუჩები სისხლის მორევებად გარდაიქცა. ყველგან საშინელი არეულობა და ყვირილ-ღრიალი იყო. გერმანიის საკონსულოს შენობა სულ ერთიანად გადაიწვა. მოკლულთა შორის ინგლისის ვიცე-კონსული ლიზიმახ კოლოხერანოსიც არის. ცეცხლისაგან მრავალი დედაკაცი და ბავშვი დაიღუპა“. ამ ჟამად კანდიაში 10 სამხედრო გემი სდგას. ადმირალებმა ბრძანება გასცეს, რომ კრიტის ყველა მაჰმადიანებს იარაღი აჰყარონ. ამბობენ, რომ სახელმწიფონი ოსმალეთს კრიტიდგან ჯარის წაყვანას მოსთხოვენო.

—

**აფრიკა.** როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა დეპეშებიდგან, ინგლისელებმა დაამარცხეს აფრიკაში დერვიშები და დაიპყრეს ხართუმი. ამ ომის შესახებ დაწვრილებითი ამბები გაზეთებმა ახლა მოიტანეს. იუწყებიან, რომ ასეთი სასტიკი და სისხლის მღვრელი ომი კარგა ხანია აღარ მომხდარა. დერვიშებს მოუკლეს 10,800 კაცი და დაუჭრეს 16,000 კაცი. გარდა ამისა ომდურმანის აღების დროს ინგლისელებმა მოჰკლეს 300—400 დერვიში. სულ მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 30,000 კაცს აღემატება. ინგლი-

---

თქვეს, რომ ნახეს?

— ნენე არ შობა საწყალი, მარა რა ქნას? ბაბას ნამეტარი მოსწონს, მამა ღვთისა და პირი ხვთისა გუუწყლა იმას, რაფერ მე იმან თავი შემაძულა. მარა იმის მეტი ბაბეს და ბიძიეს გვერდებს არ ააყენებს ღმერთი, რეის მეტი იგენის სურული არ ასრულდეს.

ნიკოს სახე წამოუცოცხლდა, თითქო დესპინეს უკანასკნელმა სიტყვებმა ანუგეშესო, და იმედიანის ხმით მიუბრუნდა:

— აი კი ვიცი, ჩემო სიცოცხლევ, რომ შენ ჩემზედ გულს არ შეიცვლი და არ მიღალატეფ, მარა მამაშენი რომ არ შობა, რა ვქნა?

— გამუუგზანე კიდომ დათიე, ნიკო, ეგება დეიყოლიოს რამე ნაირათ წყეული ბაბე და ბიძიე, ნენე ქია საწყალი მონდომებული, მარა რა გუუვა იმ დალუპულებთან?

ამ სიტყვების შემდეგ დესპინეც გაჩუმდა და ნიკოსაც პასუხი არა გაუცია-რა, ორივენი რაღაც საგონებელს მიეცნენ. ესენი ფიქრში იყვნენ გართულნი, რომ რწმულმა, რომელსაც ისინი ვერ შეემჩნია და კაკალზედ შემომჯდარიყო, მოწყენილის ხმით დასძახა ზევიდგან „ჭუუუ“. ამ მჭმუნვარე ხმის გაგონებაზედ ორივენი გამოერკვნენ და ზევით აიხედეს.

— უი, სათ ასულა მთვარე! წამოიძახა კესამ.

ამ დროს ქაიხოსროს მამალმაც ფრთა ფრთას შემოჰკრა და ხმა მაღლა დაიყივლა.

დესპინე და ნიკო ზეზედ წამოდგნენ და კოცნა ხვევნის შემდეგ ამ სიტყვებით გაიყარნენ:

— ვეცადოთ რაც შეიძლება და ღმერთი ჩვენზე თუ ხელს არ ეიღებს, ეგება რამე მოვახერხოთო.

დესპინეს მიმავალის ნიკოსათვის არ მოუშორებია თვალი, ვიდრე ის თვალს მთლად არ მოეფარა. ნელის ნაბიჯით მიმავალმა ნიკომაც რავდენჯერმე მოიხედა უკან და დესპინეს რომ ერთს ალაგას გაჩერებულს ჰხედავდა, გული ისევ დაბრუნებას უპირდებოდა, გონებას რომ დაენებებინა.

ბოლოს დესპინე სახლისკენ გამობრუნდა, ჩუმად შევიდა ოთახში და დაწვა, მაგრამ რაღაა იმისთანა დაწოლა: ფიქრები არ ასვენებდა, წამ და უწუმ ხან ერთსა და ხან მეორე გვერდზედ ტრიალებდა და ძილი არ ეკარებოდა. ათას გვარი ფიქრი ტვინს უხურებდა, ვინ იცის სად ჰქროდა მისი აზრი და გონება, მაგრამ ყოველ ფიქრის შემდეგ ერთსა და იმავე გარდაწყვეტილებას უბრუნდებოდა: ან ნიკოსთან სიცოცხლე, ან სიკვდილიო. დიდის ხნის მოუსვენრობის შემდეგ ბუნებამ მაინც თავისი არ დაიშალა და დესპინეს უცებ ჩაეძინა, მაგრამ ცოტა ხანმა რომ გაიარა, წუწკუნი დაიწყო ძილში და ბოლოს ისე ხმა მაღლა შეჰკივლა, რომ მაკა და ქაიხოსრო გამოაღვიძა. მაკა მაშინვე დესპინეს ლოგინთან მიიჭრა და მზრუნველის ხმით ეკითხებოდა:

— რა იყო, ნენა, ისე რომ იკივლე, რა დაგესიზმრა იმისთანეო, და თან იმეორებდა: „დეიცევი, წმინდაო გიორგი, დეიცევი!“ და პირჯვარს სწერდა.

დესპინე სახე გაფითრებული იჯდა ლოგინში, უაზროდ თვალებს იფშვნეტდა და დედის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა, სიზმრიდგან ჯერ ვერ გამორკვეულიყო.

ქაიხოსრო ძილისაგან გაბოხებულის ხმით ორჯელ თუ სამჯერ დაეკითხა მაკას: „რა იყო, რა ამბავიაო!!“ და ისევ ჩაეძინა.

— უი ჩემი სიკვდილი, რაფერ უძგერს გულიო, სთქვა მაკამ, როცა დესპინეს გულზედ ხელი დაადო, მკერდზედ კოცნა დაუწყო, და ულოცავდა: „გულო, მოი შინა-შინა, გულო, შენ რამ შეგაშინა, გულო, ეცი თავს ნუგეშში, მოდი ჩაჯედ შენს ბუდეშიო“ და სხვა...

როცა დესპინე კარგად გამოერკვა, დედა მაინც არ ეშვებოდა:

— რა დაგესიზმა, ნენა, იმისთანე, ასე რომ შეგშინებიაო?

დესპინეს ჯერ თქმა არ უნდოდა, თითქო რაღაცასი სცხვენიაო, მაგრამ დედა არ მოეშვა:

— ვინ გეიგონა სიზმარის დამალვა, სიზმარი რა დასამალავიაო?

დესპინე კიდევ შეყოყმანდა, იმ აზრმაც კი გაუელვა თავში, რომ სხვა-ნაირად ვეტყვიო, მაგრამ გაგონილი ჰქონდა, სიზმრის გადასხვაფერება და სხვა ნაირად თქმა არვარგაო, და ამიტომ ისევ მართალი დაიწყო მაგრამ სიმორცხვით სახე წამოუწითლდა და თავი დაჰხარა.

— ვითომ რაცხა ნიკო ღირსეულიძეს მივყობოდი, ერთ ალაგას წყალი შეგვხთა გასავალი და გავჩერდით: საშინელი მაღალი ნაპირები ჰქონდა და ზედ გლახა წვრილი ხიდი იყო გადობილი. ნიკომ ვითამ ხელი მომკიდა და გაღმა უნდა გევეყვანე, ხიდეზედ რომ შევდექით, ვინცხამ ზრუგში ხელი მომკიდა და უკან წევა დამიწყო, მე ვეხვეწებოდი გამიშვი-მეთქი, და წინ ვიწევოდი, იგი აღარ მომეშვა და ამ წიწვაში ვითამ ხიდიდგან გადავვარდი და შიშით ვიკივლე. თურმე დასტურ ქე მიკივლია.

— კაი და კეთილია, შენი შვილობა და კარგათ ყოფნა იცის, ღმერთიკას და კეთილათ აგიხვთენსო, მშვიდის სახითა და წყნარის ხმით უთხრა მაკამ, მაგრამ გულში-კი სხვა ჰქონდა: ძალიან შეაშინა ამ სიზმარმა. მაკა ჭკვიანი დედაკაცი იყო, მაგრამ სიზმარი და სხვა სოფლის რწმუნებანიც სავსებითა სწამდა და ამიტომ დესპინეს სიზმარმა ძალიან შეაფიქრიანა, კაი ამბვის მომასწავებლად ვერ ახსნა, თუმცა დესპინეს კი არ შეამჩნევინა თავისი აზრი.

ეს სიზმარი მაკამ მეორე დღეს ქაიხოსროს უამბა, თავისებურიათაც აუხსნა და თან უთხრა: „დამიჯერე მე, ნუ ხარ ჯინზედ შემდგარი, მივსცეთ აი ბაღანე იმ ბიჭს, თვარა მერე გვეწყინება და ვარესი იქნება“ო. მაგრამ ქაიხოსრომ ყურადღება არ მიაქცია.

VI

— დათიავ, შენ ჭკუიან კაძახს გიძახიენ და თურმე ბრიყვი ყოფილხარ, ბიჭო, ერთი ქალიშვილი მყავს და ჩამცივებიხარ მაინ და მაინც კაძახს მიეციო, რა შემწამე, რომ არ ვიცი?!.

უთხრა გულ-მოსულმა ქაიხოსრომ დათიას, როცა იგი მასთან მივიდა შინ და ნიკოსთვის ქალის მიცემის შესახებ ჩამოუგდო ლაპარაკი.

— კაძახს ცხრაი რომ მყავდეს, მაინც არ მივსცემ, თვარა ერთი კვა-

სულების-კი 2,000 კაცი არ დაუკარგავთ. გამარჯვების ამბავს ინგლისში დიდის სიხარულით მიეგებნენ. ლონდონში ხალხმა მთელი მანიფესტაციები გამართა.

—

**საფრანგეთი.** გაზეთებს თითქმის ყოველდღე ახალი და ახალი ამბავი მოაქვთ საფრანგეთიდგან დრეიფუსის საქმის შესახებ. როგორც თან-და-თან აშკარავდება, ბევრმა უწყოდა თურმე ის ამბავი, რომ ანრიმ სიყალბე ჩაიდინა. გაზ. „Siecle" სწერს, მაგალითად, რომ ეს ამბავი მელინის მთელმა სამინისტრომ იცოდაო. „როდესაც გენერალმა ბელიემ, განაგრძობს ხსენებული გაზეთი, ზოლას საქმის გარჩევის დროს წარუდგინა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ყალბი წერილი, რომლითაც უნდოდა დრეიფუსის დანაშაულობა დაემტკიცებინა, გარეშე საქმეთა მინისტრმა ჰანოტომ მინისტრთა საბჭოს მოსთხოვა ზოლას საქმის გაუქმება, გენერალის ბუადეფრის დათხოვნა და დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა განხილვა". სხვა გაზეთები ამბობენ, რომ პოლკოვნიკმა ანრიმ წერილის შეთხზვისათვის 2,000 ფრანკი მიიღოო. „Berl. Tagebl."-ი სწერს, რომ წერილი თვით ანრის არ შეუთხზავს. ეს საქმე მან ლემერსე-პიკარს მიანდო, რომელიც ამ სამის თვის წინად პარიჟში ჩამოღრჩობილი იპოვნესო. როგორც იუწყებიან, თუ დრეიფუსის საქმე ხელ ახლა იქმნა განხილული, ბევრს, დღემდის წარჩინებულს და პატიოსან კაცად ცნობილს, ხეირი არ დაეყრებაო. ყველაზედ მეტად-კი ესტერგაზის მოხვდება. ამ კაპიტნის შესახებ, მას შემდეგ, რაც იგი პარიჟიდგან გაიპარა, სხვა და სხვა ამბები დადის: ზოგი ამბობს კერსალშიაო, ზოგი — პარიჟში იმალებაო. ამ უკანასკნელ დროს კიდევ ხმა გავრცელდა, რომ ესტერგაზიმ თავი მოიკლაო.

## სასამართლოს მატიანე

მომრიგებელ-მოსამართლის შეურაცხება.

3 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე კერძო ვეკილის მარკოზ მურადოვისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-283 მუხ. მოხსენებული ბრალი ედებოდა. ამ საქმის გარემოება შემდეგია: მურადოვმა საჩივარი შეიტანა ოლქის სასამართლოში, რომელშიაც ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ-მოსამართლის ბ ნ ი. ი. წინამძღვარიშვილის შესახებ სწერდა, იმას გარდა, რომ ეს საქმე, რომელიც მე მქონდა რწმუნებული, ბ-ნ წინამძღვარიშვილის სამართალს არ ექვემდებარებოდა, მას, წინამძღვარიშვილს, „დიდად დაახლოვებული და მეგობრული დამოკიდებულება აქვს მომჩივან რეიტერთან და კიდეც ეს იყო მიზეზი ბოროტ-მოქმედებათა და სიყალბეთა ჩადენისა და კანონისა და მართლ-მსაჯულების შელახვისაო".

ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლოს მინდობილებით ტფილისის პირველ ნაწილის მომრიგებელმა-მოსამართლემ და მურადოვს ერთის თვით დაპატიმრება მიუსაჯა. ბრალდებულმა ოლქის სასამართოში გარდაიტანა საქმე, მაგრამ იქაც დაამტკიცეს ეს განაჩენი. მაშინ მურადოვმა საქმე სამოსამართლო პალატაში განასაჩივრა და თავის საჩივარში სწერდა — ოლქის სასამართლო უწესოდ მომექცა, რომ ჩემი დანაშაული სასჯელთა დებულების მე-283 მუხ. აღნიშნულს ბრალს შეუფარდაო, მე ბ-ნ წინამძღვარიშვილისათვის შეურაცხება არ მიმიყენებია, არამედ პირდაპირ და დაუფარავად ვდებდი ბრალს სამსახურში ბოროტ მოქმედებათა ჩადენისას და ამიტომ პასუხი უნდა ვაგო მე-940 მუხ. ძალით, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ჩემ მიერ თქმულის დამტკიცება ვერ შევიძელიო.

რადგან მურადოვი, სდებდა რა ბრალს ბ ნ წინამძღვრიშვილს, ამის დასასაბუთებლად ზოგიერთს გარემოებასაც ასახელებდა, ხოლო ცრუ დასმენის საქმენი (მე-940 მუხ.) ოლქის სასამართლოს ექვემდებარება, ამიტომ სამოსამართლო პალატამ დაადგინა: ეს საქმე უკანვე დაუბრუნდეს ოლქის სასამართლოს ამა სასამართლოს სხვა წევრების მიერ ხელახლად განსახილველადაო.

გუშინ-წინ საქმის განხილვის დროს ბრალდებულმა მურადოვმა სთხოვა, გამოძიება დანიშნეთ, მართალია თუ არა ყოველივე ის, რა ბრალსაც ვდებ წინამძღვრიშვილსაო, მაგრამ ოლქის სასამართლომ, რომელშიაც ბ-ნი ბურგარდტი თავმჯდომარეობდა, ხოლო წევრებად იყვნენ ამა სასამართლოს წევრნი ბ-ნნი პადალკო და ბოლდირევი, კვლავ დაამტკიცა პირველ-ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი, რომლითაც მურადოვს ერთის თვით დაპატიმრება აქვს გარდაწყვეტილი.

ბრალდებულმა განაცხადა, რომ საქმეს კვლავ განვასაჩივრებ სამოსამართლო პალატაშიო.

## ნაკვესი

—

ფილოსოფოსი თალესი ამტკიცებდა, რომ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობსო.

— მაშ რატო თავს არ მოიკლავო? ჰკითხეს.

— იმიტომ-რომ არავითარი განსხვავება არ არისო, — უპასუხა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ისტორიამ ბევრი მაგალითი იცის იმისი, რომ მუსიკას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სულსა და სხეულზე. ჩვენ ვიცით, რომ დავითი მუსიკით დარდს უქარწყლებდა საულს. საბერძნეთის ქალაქ ფიბაში ყოველთვის დიდ-ძალი ხალხი მიდიოდა იმ იმედით, რომ იქაურნი მემუსიკენი სხვა და სხვა სენისაგან განკურნავდნენ. ქალაქ ათინას მცხოვრებნი ამბობდნენ, რომ გალობა ციებ-ცხელებისაგან არჩენს ადამიანსაო, აშკარაა, რომ სამი ათასის წლის წინად ყველა ერნი, როგორც განათლებულნი, ისე გაუნათლებელნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მუსიკა სასარგებლოა ადამიანისათვის. ამ ჟამად ძნელად შეჰხვდება კაცი ისეთს ადამიანს, რომელზედაც მუსიკას არავითარი გავლენა არა ჰქონდეს, თუმცა ისეთი-კი ბევრია, რომ თითონ მუსიკისა არა გაეგება რა.

სახელოვანი ფიზიოლოგი დანიელი ამტკიცებს, რომ მუსიკას დიდი გავლენა აქვს ადამიანის სხეულის სისხლის მოძრაობასა და სუნთქვაზეო. უკეთესი გავლენა ადამიანზე აქვს გალობას. ამ ჟამად მკურნალები სულით ავადმყოფებს სწამლობენ და უკვე დამტკიცებულია, რომ ამ ავადმყოფთათვის მუსიკა საუკეთესო წამალი არისო.

ყველამ კარგად ვიცით, რომ თუ ბავშვმა რამე იტკინა, მუსიკით ან სიმღერით გაართობენ ხოლმე. ისიც ვიცით, რომ მუსიკა ამ დროს ბავშვსართობს, მეტი არაფერი. ეხლა კი მკურნალები ამტკიცებენ, რომ მუსიკა ბავშვს და დიდსაც ტკივილს ცოტათი მაინც დაუამებს ხოლმეო.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(დასასრული *)

მას ჟამსა იყო ვინმე კაცი ერთი მოშიში ღმრთისაჲ: და მსახური ქრისტესი რომელსა სახელი ერქუა რევ მე მეფისაჲ: და იყო მე რევისი სნეულ. და მიწევნულ იყო იგი სიკუდიდ: რამეთუ იგი ხოლო მარტო ესუა მას. მოიღო იგი და დადვა პატიოსანსა ჯუარსა წინაშე და ცრემლით ითხოვდა მისგან უგუეთუ: მომიბოძოს ყრმაჲ ესე ჩემი გუნბადი აღვაშენო საყოფლად შენდა. ჱა ვითარცა იგი მწარედ და უწყინოდ ტიროდა პატიოსნის ჯუარის წინაშე. მუნქუესვე განიკურნა ყრმა იგი მისი: და სიხარულითა დიდითა წარიყვანა ყრმაჲ იგი მისი განკურნებული. და განცოცხლებული: და ადიდებდა ღმრთისა:

ჱა მერმე მივიდა აღთქუმულისა აღსრულებად და ყო მადლისა მიცემაჲ. დიდითა სიხარულითა. და გულს მოდგინებითა. გუნბადი აღაშენა: მცხეთისაჲ. რევის მემან წლითი წლად. მოვიდის და აღასრულის მსახურებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ: და მიერ ჟამითგან უფროს ხოლო და უმეტჱს მოვიდოდეს სნეულნი მრავალნი და უძლურნი და განიკურნებოდეს: და სიხარულით ადიდებდეს პატიოსანსა ჯუარსა:

იყო ვინმე ჭაბუკი ერთი. და ორნივე თუალნი დადგომილ იყვნეს. მოვიდა შეურდა პატიოსანსა ჯუარსა და ევედრებოდა გულს მოდგინედ: და შემდგომად მჳდისა დღისა აღეხილნეს თვალნი და სიხარულით ადიდებდა ღმერთსა და პატიოსანსა ჯუარსა:

მერმე დედაკაცი ვინმე იყო ერთი მარადის გუემული სულითა უკეთურითა და ეგოდენ გონებაჲ მიეღო რაჲთამს პატიოსანსა ჯუარსა. შეამთხუევდ სამოსელსა ჯუარისასა: მოაღებნ. და იყო მეათოთხმეტესა დღესა განიკურნა დედაკაცი იგი. და წარვიდა იგი სიხარულით ფერჴითა თჳსითა. და ადიდებდა იგი ღმერთსა და პატიოსანსა ჯუარსა:

მერმე მასა შემდგომად იყო ვინმე დედაკაცი სხუაჲ რომელსა ესუა წული ყრმაჲ ერთი და მეყსეულად. დაწუვნდა ყრმასა მას და აღიქუა იგი დედამან მისმან და მიიღო და დადვა იგივე პატიოსანსა ჯუარსა: დაადვა ყრმაჲ იგი მწუდარი წინაშე წმიდასა მას პატიოსანსა ჯუარსა დილეულითგან ვიდრე მწუხრამდე. ხოლო დედაკაცი იგი ტირილით ილოცვიდა წინაშე პატიოსანსა ჯუარსა. სხუანი იტყოდეს. მომკვდარ არს. ყრმაჲ ეგე. წარიღე. დაჰმარხე: ნუ ღარა აწყინებ: ხოლო მან არავე წარიგუეია სასოებაჲ: არამედ უფროსღა საწყალობელად ცრემლოოდა. ხოლო მწუხრის ჟამსა ოდენ სულნი უკუნიხუნა და თუალნი აღიხილნა. და შემდგომად სამისა დღისა განკურნებული წარიყვანა იგი დედამან მისმან და ადიდებდა ღმერთსა და პატიოსანსა ჯუარსა.

ჱა ვითარცა იხილეს. ყოველთა სასწაული ესე. და ნიშნები და კურნებანი დიდ დიდნი. პატიოსნისა ჯუარისანი მრავალნი. უშვილონი მოვიდნედ. და ილოცვედ შვილიერებასა: და შვილითა განვიდიან. და შესაწირავთა და მადლთა მისცემედ.

არა ხოლო მუნ მავლენედ. რომელნი მათ ხოლო მიჰმადლებედ თხოვასა. არამედ მათცა რომელნი შორს არიედ. გი-

*) იხ. „ივერია", № 190

---

ლი ქალიშვილიი მყავს და იგიც რომ კაძახის ხელში ჩავაგდო, რა გამიჭირდა ამის ფასი?!..

— ცხრაი და ერთი, ბატონო, შვილი ყველე შვილია, გლახა ადგილზედ არცეთი არ უნდა ჩააგდო კაცმა, თუ კი რამე გაგივა, მარა გლახა ალაგი არაა მგონია და იმიზა მოგახსენეფ, თვარა ისე თქვენი სურულია, გაჭივრებამ ჯვარი დაგწერა, მაგას ვინ მოგახსენებს? წყნარად მიუგო დათიამ, რომ ქაიხოსრო არ გაეჯავრებინა, რადგან წამოსვლის დროს ნიკო სულითა და გულით შეევედრა: „შენ იცი და შენმა კაცობამ, დავითო, თუ რამე ნაირად დეიყოლიეფ, თუ გაგივიდეს რამე, ხელს ნუ დააკლეფ და თუ აღარაფერი გავა, მადლობა ღმერთსო".

— კაძახი და კაძახიო, ახლა რომ ბრძანეფ, მართალია, კი კაძახია, მარა კაი მოწყობილი საკუთარი ვოჯახი აქ, ძალიანი კაი ბიჭიცაა და ამიზა არ მგონია ურიგო საქმე, დაიწყო კვლავ დათიამ. მადლობა ღმერთს თვითან იცნოფთ ბიჭსაც და ვოჯახსაც; პური არ მიაკლდება და ღვინო, ტანი და ფეხი. კაი დაგემართოს, კაი აზნაუშვილიც რომ იყოს, მარა იმისთანე ბიჭი და იმ ვოჯახის პატრონი აზნაუშვილი, ხომ მოგეხსენება, რას ითხოვს და აი კი მარტუა ქალს გთხოვს და პირ აქით თუ რამე პატივს გცემს, თვარია იმაზე აფერი არ დაგეხარჯება.

— რას იზამ, რომ აზნაუშვილსაც მივსცე და არც რამე გავატანო?

— აზნაუშვილს გააჩნია, ბატონო, აზნაუშვილი იმისანე ვიცი ზოგიერთი, რომ მჭადი არ აქ საჭმელათ.

— მაინც იგი ჯობს, ქე მაინც საზოგადოებაში კაცი ხელს ჩამუართუმს. კაძახი რაც უნდა კაი იყოს და კისრამდი ვოქროშიც რომ იჯდეს, მაინც კაძახია. ნუ გეწყინება და კაი კაძახი ხარ ახლა შენ, მარა მე და შენ ერთ ნაირათ მიგვიღებს მიხეილ დიდკუჭაძე? დაუსახელა ერთი მახლობელი ლუარსაბის წარმომადგენელი თავადი, რომელიც იმას კაცის იდეალად მიაჩნდა, და ისეთის თვალით შეჰხედა, თითქო ეკითხებაო, ეხლა რაღა პასუხს მომიგებო.

— რას დამაკლებს მერე, თუ არ მიმიღებს, ახლა ძველი დროი ხომ არ არის, არ მიმიღებს, არც მე მივიღებ.

— ოჰ, შენ თუ არ მიიღე, კიდეც დეიფსება [3]) კაცი, დამცინავის ღიმილითა და კილოთი უთხრა ქაიხოსრომ.

— მე-კი სტორეთ დევიფსები, იმან თუ არ მიმიღო, ამაყად უპასუხა დათიამ, მაგრამ ქაიხოსრო რომ არ გაეჯავრებინა, ისევ თავ-დაბლად და ტკბილი ხმით დაიწყო: ახლა იმისანე დროია, ჩემო ქაიხოსრო, ჩემო ბატონო, რომ, ვინც სხვას არ მიიღებს, არც იმას მიიღებენ, მარა ამას ჩვენ თავი დავანებოთ, შენი ჭირიმე. აზნაუშვილობა და თავადობა რომ კაია, მაგას დიდი ლაპარაკი-კი არ უნდა, ოღონდ, წახანე ბატონი მაკა ბძანებდა, იმის არ იყოს, თავი და ბოლო საქმე კაცია, თუ კაცი ვარგა ყორიფელს ჯობია. კაი საქმეა, ისე კაი ჩემს ცოლ-შვილს მოუვიდეს და ნუ გააბრუნებთ უკან. ნუ გეშინია, ბიჭი არ არის იმისთანე, რომ დაგერცხვინოს: სიტყვა კაი იცის და პასუხი, რაც შეიძლება უსტავლელი კაცისაგან, თვალადი კაია და ტანადი. თუ თქვენს შვილსაც მოსწონს, ეგება ერთმანეთის ბედია და ნუ დააბრკოლებთ. უპირველესი საქმეა, ქალს და კაცს თუ ერთმანეთი მოსწონს და უნდა.

— რა ვუყო, დათია, გადაწყვეტილი უნდა გითხრა, რომ ღირსეულიძეს ქალს ვერ მივსცემ: ბევრი ნათესავი და ნაცნობები მყავს, კაცს მიძახიენ, აბა რამდონი ჩინონიკობა და სამსახურის კაცი მიცნობს (ქაიხოსროს ვიღაცას შემწეობით სასოფლო გზების ზედამხედველობა ეშოვნა, მცირე ჯამაგირს იღებდა და ამ სამსახურით ისე მოსწონდა თავი, რომ გუბერნატორი თავისი ამხანაგი ეგონა და ამიტომაც ჩააკერა ლაპარაკში „ჩინონიკები და სამსახურის კაცები.") და ყველე გამიმტყუნებს, კაძახი რომ სიძეთ გევიხადო. რაღა გავაგძელო, გუშინამ მაკას ეთქვა ჩემი ძმისათვის, ასე და ასეა საქმე და შენ რავა გაგვიპირდებიო. მუარდა აქანე სამსონ (ქაიხოსროს ძმა არის) და რა დამითენა, ვინ იცის. ამას გარდა, მე მაინც ახლა ქალს სხვას ვაძლევ; ხომ ვერ მუატყუებ იმ კაცს, პატიოსანი აზნაუშვილია, მამა-მისი თურმე ერთ თავადს არ ჩამორჩებოდა. იქნება შენც ქე იცნობ ყარსუმა ცუდლუტაძეს.

— ვის ბატონო? გაოცებით ჰკითხა დათიამ, რადგან ეგონა, ყურმა მომატყუაო.

— ყარსუმა ცუდლუტაძეს, განუმეორა ქაიხოსრომ.

— ორი ხომ არ არის, ბატონო, ყარსუმე ცუდლუტაძე? ერთს-კი ვიცნობ, მარა იგი რავა იქნება: იგი კაი შვა ხნის კაცზე მეტია, სულ შემჩხავრებული [4]) აქ წვერ-ულვაში.

— იგი ჰო, ადრე გიერია თეთრი. თვარა იმდონი ხნის კი არ არის, ცოტა არ იყოს დარცხვენით სთქვა ქაიხოსრომ.

— რაღა დროის აჸრეა, შე დალოცვილო, საცოლო შვილები ჰყავს, გულ-ნაკლულად ჩაილაპარაკა დათიამ და ხმა გაჰკმინდა, თითქოს ამ საშინელის ამბის გაგონებამ ენა დაუბაო.

მართლა რომ საშინელი ამბავი იყო თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ცქრიალა და სიცოცხლით სავსე დესპინეს ორმოც-და ხუთის — ორმოცდა-ათის წლის ყარსუმა ცუდლუტაძესთან შეუღლება, მით უმეტეს, რომ ყარსუმა დანაქვრივები იყო და შვილებიც ბლომადა ჰყავდა.

დიაღ, ქაიხოსრო ძველ-გულაძემ ოცის ოც-და სამის წლის ხელ-მარჯვე ნიკო ღირსეულიძეს ორმოც-და-ათის წლის ღარიბი და შვილებით დატვირთული ყარსუმა ცუდლუტაძე ამჯობინა დესპინეს საქმროდ, ამჯობინა კიდევ იმიტომ, რომ ნიკო გლეხი იყო და ყარსუმა აზნაურიშვილი.

(დასასრული იქნება)

[3]) დეიფსება — დაილუპება.

[4]) შემჩხავრებული — გაჭაღარებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა თუ ბანაკსა. დუაწლსა შინა. ხადიედ პატიოსანსა ჯუარსა: მცხეთისასა მუნქუესვე მძლე ექმნას მტერთა მათ შეწყობათა ქრისტესთა და პატიოსანისა ჯუარისათა. და დიდითა სიხარულითა მოვიდიან მადლისა მიცემად პატიოსნისა ჯუარისა. მრავალნი უღთონიცა დიდსა ტკივილსა შეცვივიან: ხოლო რაჟამს სარწმუნოებით ხადიედ პატიოსანისა ჯუარსა მცხეთისასა. მუნქუესვე განერნიან. და სიხარულით ადიდებედ პატიოსნისა ჯუარისა:.

და მოვიდიან სიხარულით და ნათელი მიიღიან და შეემთხუნიან პატიოსნისა ჯუარსა და სხუანი მრავალნი ჭირისა მრავალსა შეცჳვეს და ვედრებითა პატიოსნისა ჯუარისათა განიკურნეს. და მრავალნი სნეულნი პირად პირადითა სენითა: მოვლენედ ვედრებად პატიოსნისა ჯუარისა. და განიკურნებიედ ადრე დღესნდელად დღემდე და სხუაცა მრავალნი სასწაულნი იქმნეს: წინაშე პატიოსანსა ჯუარსა მცხეთისასა მადლითა გარდამო ღთისა მიერ რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას.

ხოლო ესოდენ დაიწერნეს საქებელად ღთისა და სადიდებელად მორწმუნეთათჳს. და რათა ჩუენ ყოველნი ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა რომლისაჲ არს ძალი და მადლი პატივი და თაყუანისცემაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამენ.

—

ახლად მიაქციეთ ყურადღება ზოგიერთს ძველ ფორმებს ამ წერილისას. ჩვენ დღეს აღარ ვამბობთ არიედ, ხადიედ, ადიდებედ, მოვლენედ ვედრებად, შორს არიედ; ჩუენ მასწავეს მდღელთა მათ; უფალი შემეწიენ ჩუენ და ნუგეშინის მეც ჩუენ და სხ.

გარნა ეს ფორმები გვხვდება უფრო ხშირად უძველეს დროის ნაწერებში და თარგმანებში. ზოგიერთმა ის აზრიც გამოსთქვა, ვითომ ამ ფორმებს უწინაც ცოცხალი ენა არ გუობდაო და მოიგონეს მწიგნობრებმაო. და ამას ამბობენ ისინი, რომელთაც სახსარი არა ჰქონიათ გაეცნოთ ნაშთები ძველის მწერლობისა და არც შეუსწავლიათ ქართულის ენის კილო-კავები.

ა. მასწავეს ჩუენ; მომეც ჩუენ პური; ნუგეშინის მეც ჩუენ; ნუ შემიყვანებ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ და სხ.

აქ მა, მე, მი უნდა იყოს მრავლობითი რიცხვი პიროვნებით ნაცვალ სახელისა მე (მეგრულად მა, სვანურად მი), და დღესაც მეგრულში იხმარება ისევე, როგორც მათე საუკუნის უწინარეს დროის თარგმანებში.

მეგრულად მდაბიურს ენაზედ ითქმის: ქი მაპატიი ჩქი ვალეფი, ნუ მიმამიყონანქ განსაცდელიშა, გიშამირსხი ჩქი ბოროტიშე. მაპატიი გვაპატიეს მაგიერ, მიშამიყონანქ შეგვიყვანებს მაგიერ, გიშამირსხი გვიხსენის ნაცვლად.

თუ ეს ფორმა დღესაც იხმარება საქართველოს ერთს კუთხეში და ძველს წიგნებშიაც გვხვდება, მაშ იგი მწიგნობართაგან მოგონილი არ უნდა იყოს.

ბ. რომ გავიგოთ რას ნიშნავს თქმა არიედ, მოვლენედ და სხ., უნდა მივმართოთ არსებითი ზმნის დახრას სვანურსა და მეგრულ ლაზურში.

| | სვან. | მეგრ. | ძველი ქართ. |
|---|---|---|---|
| წარსული | ხვარდ | ვორდი | ვარიედ (=ვიყავ) |
| უსრული | ხარდ | ორდი | ხარიედ |
| [illegible]რო | არდა | ორდუ | არიედ |

გ. „მოსთხოვა მირკან მეფემან“. მოსთხოვას მაგიერ ზოგიერთი ახალი ღრამატიკოსები სწერენ მოთხოვა.

ვინ არ იცის, რომ მოთხოვა სხვაა და მოსთხოვა კიდევ სულ სხვა: მოთხოვა სახელ-ზმნაა და მოსთხოვა — მთელი წინადადება.

მო-მ-თხოვა, მო-გ-თხოვა, მო-ს-თხოვა,
მო მ-ცა, მო-გ ცა, მო-ს-ცა
მო-მ წონდა, მო გ-წონდა, მო-ს-წონდა
მო-გვ-წონდა, მო-გ-წონდათ, მო-ს-წონ-დათ.

კანონიერი ენა ამას მოითხოვს და უკანონოდ კი შეიძლება სწერონ მოწონდა, მოწონდათ, მოთხოვა, მოცა, მიცა (მისცას მაგიერ).

თუ ძველად რაოდენად ღრმად იცოდნენ ენა და ყოველივე სიწვლილე მისი ამას, თუნდა, გვამცნევს ხმარება ზმნისა ჩენა“.

ა) ჩას მალი იგი ცხოველი [1].
ბ) საგონებელ მიჩს [2].
გ) ნუ უცხო გიჩნ [3].
დ) დღისი ჩანნ ბრწყინვალებაჲ [4].
ე) სჩანს საქმე ესე.

კანონიერება ენისა დიდი საუნჯეა აზროვნობისა და, ვისაც ჰსურს მართლმსჯელობა, უნდა სასტიკად დაიცვას ეს კანონიერება...

მ. ჯანაშვილი

# ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: „უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუკაანთ დავითა“, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ. 96 გვ, ფასი 25 კაპ.

წიგნში მოთხრობილია, რომ რომი საქართველოს ქრისტიანულის სიბრალულით უმზერდა და არა გაკათოლიკების სურვილით აღძრულიო. მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ რა უნებლიე შეცდომების მეოხებით გავრცელდა ქართველ კათოლიკეთ შორის სომხის გვაროვნება და ან ის, თუ ქართველნი რა გავლენის მეოხებით ჰკარგავდნენ ქართულს ენას და ქართულს გვარ-ტომობას ივიწყებდნენ.

## შემოწირულება

ა. ს. გიორგობიანისაგან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მოუვიდა ქ. ახალციხეში შეგროვილი მეფე ერეკლე II ფონდის სასარგებლოდ 21 მან. 80 კაპ. შემომწირველნი არიან: ა. გიორგობიანი 3 მან., თავ. თაქთაქიშვილი 1 მ., ნ. ბეზირგნიშვილი 1 მ., მ. ზედგინიძე 50 კ., გრ. ბურჭულაძე 1 მან., მღ. ეფრემ ინასარიძე 1 მ., ბესარიონ ხმალაძე 1 მ., ნიკო ასათიანი 50 კ.. გიორგი ზაალიშვილი 40 კ., ფ. ბურჭულაძე 50 კ., თავადი მიხეილ ხერხეულიძე 1 მ., გრიგოლ სარიაშვილი 50 კ., გედეონ მომცემლიძე 40 კ., იოსებ ალექსანდრეს ძე ისკანდარიშვილი 1 მ., ალექ. ზედგინიძე 50 კ., ივანე აბხაზი 3 მ., ივანე ალექსის ძე სალარიძე 1 მ., ვასილ გვრიტიშვილი 1 მ., ი. ჩაჩიკაშვილი 1 მ., ს. ალელიშვილი 50 კ., ს. აგულაშვილი 1 მ. მღ. ვ. ხიდაშელი 1 მ., სულ 21 მან., 80 კაპ., ამას გარდა ამავე საგნის სასარგებლოდ იქვე ეკლესიის გალავანში, ხელმოუწერლად შეუგროვებიათ 19 მან. და 10 კ., სულ გამოუგზავნით 40 მან. 90 კაპ.

[1] საუნჯე, გვ. 5.
[2] ახალ ვარ. წმ. ნინოს ცხ., გვ. 52.
[3] საუნჯე, გვ. 44.
[4] იხ. „თუალთაჲ“ (შატბერდის კრებულში)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 სექტემბერი

**მოსკოვი.** ყაზანის რკინის გზის სიმბირის შტოზედ 2 სექტემბერს ტვირთის მზიდველი მატარებელი დაეძგერა ხეებს, რომელიც ბოროტ-მოქმედთ ლიანდაგის გარდი-გარდმო ეწყოთ. კონდუქტორი და ორი მუშა მოკლულია, 10 მუშა დაშავებულია.

**ქრისტიანია.** პირველი ხელ შეკრულება სამედიატორო სასამართლოს შესახებ დადებულ იქმნა რომში იტალიისა და არგენტინას შორის. თითოეული მხარე არჩევს თითო მედიატორს; ეს ორი მსამართლე ირჩევენ მესამეს. თუ ამ საქმეში ვერ მორიგდნენ, მაშინ მესამე მედიატორს ჰნიშნავს მეფე ოსკარი ან შვეიცარიის პრეზიდენტი.

**სოფია.** სულთანმა აღკრძალა მატარებელი ბოლგარიელ მოგზაურებით, რომელთაც კონსტანტინეპოლში უნდოდათ მოსვლა იქ აგებულ ბოლგარელთა ეკლესიის კურთხევაზედ დასასწრებლად.

**პეკინი.** იტო გუშინ მოვიდა ტიან-ძინში და აქაც ჩქარა მოელიან. ჩინელები ამბობენ, რომ ამ იმისს მოსვლას დამოკიდებულება აქვს იმ სატევ-საგერ კავშირთან, რომელიც იაპონიასა და ჩინეთს შორის იქმნება დადებულიო.

**პარიჟი** მინისტრთა უკანასკნელ თათბირის დროს აღიარეს, რომ დრეიფუსის ვექილებს ყველა ის საბუთის ქაღალდები არა ჰქონდათ ნაჩვენებ-ნაუწყები, რომლის ძალითაც დრეიფუსი ბრალეულად იქმნა ცნობილიო.

**ლონდონი.** პარლამენტის გრაფალმა წევრმა სამადლობელი ადრესი შეადგინეს ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზედ სამშვიდობიანო კონფერენციის წინადადებისათვის.

**სეული.** მეფე კარგად არის. მემკვიდრე პრინცი ჯერ სრულიად არ განკურნებულა საწამლავისაგან. აქ ამ აზრისანი არიან, რომ საწამლავი მიუწოდებია ერთ სეფე ქალთაგანს ეჭვიანობისა, ან პოლიტიკურის მიზეზის გამოო.

**ლოზანნა.** აქ დაპატიმრებულ ანარქისტებ გვალდუჩჩისა და ბარბეტტიზედ გუმანია მიტანილი, რომ ლუკკენის თანამოზიარე ამხანაგნი უნდა იყვნენ.

**რომი.** რუსეთის საელჩომ ოფიციალური პასუხი მიიღო წმ. ტრაპეზისაგან რუსეთის სამშვიდობო საყოველთაო მიწერილობის შესახებ, რომელიც ვატიკანში მყოფმა რუსეთის ელჩმა აცნობა კარდინალს რამპოლლას. პასუხში დიდად მოწონებულია რუსეთის წინადადება და ნასურვია რომ იგი ბედნიერად განხორციელდეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ბ-ნს სიმონ ივანეს ძე ჯორბენაძეს, რომელმაც კეთილ ინება და შეჰკრიბა ჯურუყვეთის სამრევლო სკოლასთან დაარსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ ათი მანეთი და ექვსი შაური და აგრეთვე იმათაც, რომლებმაც არ დაიზარეს თავიანთი წვლილი ამ კეთილის საქმისთვის. სია შემომწირველთა: ანნა მგელაძისა—1 მან., მიხ. ხელაძე—1 მ., ბენიამენ ჩხარტიშვილი—1 მ., დიმ. ცინცაძე—1 მ., მართა კაჭაღმაძისა—50 კ., შალვა ანთაძე—50 კ., მელ. ტყეშელაშვილი—50 კ., გ. ებრალიძე—50 კ., არ. კვაჭაძე—50 კ., სილ. ბლაგიძე—50 კ., ივანე აფხაზავა—50 კ., ვასო ჭყონია—45 კ., ნიტიფო სალოქვაძე—40 კ., ესმა შარაბიძისა—30 კ., მიხა გვინჩია—20 კ., გიორგი ნაკაიძე—20 კ., ლ. ურუშაძე—20 კ., ნეს. გოგუაძე—20 კ., ვლადიმერ გოგოლაიშვილი—15 კ., მოსე გოგიჩაიშვილი—15 კ., გ. ჩავლეშვილი—15 კ., დიმ. ხაფავა—15 კ., გიორგი მანწკავა—10 კ., ბიკტორ ჭყონია—10 კ., ი. ჭყონია—5 კ.. აგრეთვე დიდ მადლობას ვუძღვნი აზ. ივანე ბეჟანის ძე გიგინიეიშვილს, რომელმაც სამკითხველოს ახალ შენობისათვის შემოსწირა ოთხმოცი ფიცარი, ღირებული ოც მანეთად, ბ-ნთ მაქსიმე შარაძეს, მიხელ მგელაძეს და არიანე გიგინეიშვილს, რომელთაგან პირველმა შემოსწირა იმავე სამკითხველოს 17 ცალი ქართული წიგნი, მეორემ—12 ცალი, ხოლო მესამემ—10 ცალი.

სამკითხველოს გამგე მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე

# განცხადებანი

## ფოთის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს ამომრჩეველთა საცნობელად, რომ საარჩევანო კრება ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამოსარჩევად სამის წლის ვადით, 1898—1902 წლებისა დაიწყება 8 სექტემბერს 1898 წ., დილის 9 საათიდგან ქალაქის გამგეობის დარბაზში. ამომრჩევლებისაგან ხმოსნების თანამდებობაზედ კენჭის საყრელად დასახელებულნი არიან შემდეგი კანდიდატები, რომელნიც წინადადებულნი არიან ქვემო დასახელებულ ხმის რაოდენობით. (სულ წარმოდგენილი იყო 193 სია):

ნიკოლაძე ნ. ი. (ქალაქის მოურავი)—193 ხმა; ჰასან-ჯალალოვი ი. გ. (გამგეობის წევრი)—190 ხმა; კრუაშვილი ლ. მ. (გამგეობის წევრი)—184 ხმა; ტერ-ნიკოლოსოვი ნ. ა.—182 ხმა; გოგიბერიძე ი. ლ.—173; რუხაძე კ. ე.—172; ალხაზოვი მ. გ.—168; მენდელი მ. ბ,—167; დიდია გ. ნ.—156; მიქაბერიძე კ. ი.—155; ხუმარაძე ხ. პ.—149; ანდღულაძე მ. გ.—148; კაუხჩევი კ. ი.—148; პილიდი დ. გ.—147; კილურაძე ნ. ს.—141; ჩოჩუა სოლომონი—134; ნამიჩეიშვილი ნ. ს.—128; სტავრიდი გ. ს.—124; ხოშტარია ა. ი.—123; პრავედნიკოვი ა. ა.—122, ქავთარაძე ს. ბ.—122, საბახტარიშვილი ა. რ.—116; პლოხოტნიკოვი ვ. პ.—115; გროდსკი მ. ი.—114; გოგინავა ს. დ.—113; საბახტარიშვილი ბ. რ.—107; ქვანია ა. პ.—103; შაფათავა პ. ე.—103; თოფურიძე ვ. ი.—99; გრიგოლია დ. გ.—91; ეგორშევი პ. ს.—91; მეიერი ე. რ.—88, ჯაიან ვ. ი.—82; სიორიძე ნ. გ.—82; გაბელია ბეჩუ ტ.—80, ჩოჩუა სამსონ—80, ალანია ა. ა.—76; ფანცულაია დ. ს.—76; კალანდაძე ი. გ.—75; ტკაჩენკო ნ. ფ.—75; ხუნჯუა ი. ს.—75; ტეროვაკიმოვი გ. ო.—72; კაკუტია ბახ. ვა—72; ანცევი ი. გ.—70; ლოლუა ა. დ.—68; გუგუშვილი ა. დ.—66; გუგუშვილი ა. ნ.—63; გუგუშვილი დ. ნ.—62; მამფორია ი. ა.—62; არუთინოვი მ. ხ.—59; გაბუნია ე. მ.—59, გეძევსკი ი. ვ.—58, გაბუნია გაიოზი—56, ესაკია მ. ვ.—53, მაკალათია დ. ნ.—52. გაბელია ე. დ.—51, კაჩარავა ა ხ,—50, პერედერა ვ. ნ.—48, ასათიანი ი. ი.—47, კონოვალოვი ლ. ვ.—45, ხოშტარია, ს. თ.—43, თურქია ი. თ.—42, ტერეშენკო ი. ი. 41, კაგაროვი ბ. ი.—39, ბერეჟიანი ს. ბ.—38, შაპირო დ. გ.—38, მოისენკო ა. ა.—37, კიგურაძე ამ. ტ.—31, ცალქალამანიძე ი. ი.—31, მაღნარაძე კ. ს.—30, ინასარიძე კ. ე.—29, კიზირია პ. ი.——29, შტენცელი ი. ო.—28, ხარაზოვი ვ.—27, ბარკალაია, ა. ს.—26, კოჩერგინი კ. დ.—26, ბახმეტიევი ა. პ.—15, მახარაძე კ. ხ.—14, გაბელია ბახვა—13, ურუშაძე სტ. გ.—13, ბჟალავა სამს.—12, კიზირია კოხტა—12, ნეკრასოვი ი.—12, გოგინავა ბ. კ.—11, გრიგოლია ა. დ.—11, ჯორბენაძე ა.—10, ჩაჩავა კ. ტ.—10, ჭყონია ს. თ.—10, გოგვაძე დ.—9, ქართველიშვილი ნ.—9, ხოპერია ა. ნ.—9 ლუკაშევიჩი ი. კ.—8, ბრელიძე რ. ე.—7, ლეხნიცკი თ. მ.—7, ჩხარტიშვილი ი.—7, ელიავა დ. გ.—7, კონოვიჩი დ. კ.—6, ნედოსვიატი ა. ი.—6, ვარძელოვი ს. ი.—5, გუგუშვილი ტ. ხ.—5, ჯოჯუა ტ. ო.—5, სარდაროვი ს. ვ.—5, ტულუში, დარისპ.—5.

ქალაქის გამგეობა 5 სექტემბრამდის მიიღებს განცხადებას კანდიდატისაგან, საარჩევანო ყუთის დადგმის სურვილის შესახებ. (3—ნ.—3)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!
ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლის საპონი
გ. ფ. იურგენსისა
აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამლასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისას, ეს საპონი იხმარონ.
ოქროს მედალი 1895 წ.
ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.
იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.
პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმუროვთან, კავკასიაში საათიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—23)

ზეითუნი ზეთი პელერისა
საგანგებოდ დამზადებულია ნიცცაში და ისყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან.
ეს ზეთი მზადდება მხოლოდ მაისში ახლად დაკრეფილის, კარგად შემოსულისა და არჩეულის ზეთის-ხილისაგან. (3—მ.—2).

Довзолено цензурою, Тифлисъ 4 го Октября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.